



საქართველოში მცხოვრები ყოფილ და პოტენციურ მიგრანტთა საბანანათლებლო და ბიზნეს საქმიანობების ხელშეწყობის პროექტი

პროექტს ახორციელებს გურიის ახალ-
გაზრდული რესურსცენტრი ევროკავ-
შირის ფინანსური მხარდაჭერით და
სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული
ასოციაციის (DVV International)
საქართველოს ოფისთან და ოზურგე-
თის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბთან
პარტნიორობით.

*პროექტის მიზანია საქართველოდან მი-
გრაციის შემცირების ხელშეწყობა პო-
ტენციურ და დაბრუნებულ მიგრანტ-
თათვის საარსებო წყაროს შექმნის
ეფექტური სტრატეგიების შემუშავება.
პროექტის სამიზნეა ყოფილი და პოტენ-
ციური მიგრანტები და მათი ოჯახის
წევრები გურიისა და აჭარის (ქობულე-
თის მუნიციპალიტეტი) რეგიონებიდან.*



გამოცემა მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მასში მოყვანილი
ინფორმაცია წარმოადგენს გამომცემლის მოსაზრებას და არ ასახავს ევროკავშირის
ოფიციალურ პოზიციას

არალეგალური მიგრაციის საფრთხეები

დაფიქრდი სანამ წახვალ!

თუ საზღვარგარეთ წასვლას აპირებთ, გამგზავრებამდე აუცილებლად შეამოწმეთ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამისა თუ სამუშაოს ნამდვილობა და მიიღეთ უსაფრთხოების ზომები. ასევე, გაითვალისწინეთ, რომ უცხო ქვეყანაში არალეგალურად გამგზავრება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და სერიოზულ რისკებთან არის დაკავშირებული.

- ყოველთვის გადაამოწმეთ ორგანიზაციები, რომლებიც გთავაზობენ დახმარებას საზღვარგარეთ დასაქმებაში, სწავლაში, სტაჟირებაში ან საცხოვრებლად გადასვლაში;
- ვიზის მისაღებად პირადად მიმართეთ დანიშნულების ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას;
- ნუ გადასცემთ თქვენს პასპორტს ან პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს სხვას;
- წინასწარ გადაამოწმეთ დამსაქმებლის მიერ შემოთავაზებული სამუშაოს პირობები. მოითხოვეთ თქვენი დამსაქმებლის ან სასწავლებლის საკონტაქტო მონაცემები;



- გაითვალისწინეთ, რომ თქვენი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შეძლებთ. არ დათანხმდეთ მუშაობის დაწყებას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე.

ფრთხილად, ტრაფიკინგი!!!

მიგრაციისას ადამიანი ტრეფიკინგის მსხვერპლი ორი ძირითად მიზეზით შეიძლება გახდეს: ტრეფიკორების მიერ მსხვერპლის საზღვარზე უკანონოდ გადაყვანისას და ადამიანთა კონტრაბანდისტების მიერ ადამიანის საზღვარზე უკანონოდ გადაყვანისას. როდესაც საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა მიგრანტთა თანხმობით ხდება, კრიმინალური დაჯგუფებები გარკვეული საფასურის სანაცვლოდ უზრუნველყოფენ ადამიანების იმ ქვეყანაში გადაყვანას, რომლის მოქალაქეები არ არიან და არც ლეგალურად შესვლისთვის საჭირო დოკუმენტაცია გააჩნიათ. ასეთ შემთხვევებში კრიმინალურ დაჯგუფებასა და მიგრანტს შორის ურთიერთობა საზღვრის გადაკვეთის შემდეგ სრულდება. თუმცა, უცხო ქვეყანაში არალეგალური სტატუსის გამო მიგრანტები შეიძლება გახდნენ დამოკიდებულნი იმ ადამიანებზე, რომელთაც საზღვარზე უკანონოდ გადაიყვანეს. კრიმინალური დაჯგუფებები ხშირად ბოროტად სარგებლობენ ამით და წლების განმავლობაში აიძულებენ ასეთ მიგრანტებს, ანაზღაურების გარეშე იმუშაონ და ასე დაფარონ მათი მგზავრობისთვის განუღებელი ხარჯი.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მოწოდებს თანამედროვე ფორმას, რომელშიც ადამიანების ჩათრევა მოტყუების, ძალადობის, მუქარის ან იძულების სხვა ფორმით ხდება. ტრეფიკინგის დროს ადამიანებს ეზღუდებათ დამოუკიდებლობა, თავისუფალი გადაადგილებისა და არჩევნის უფლება და ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი.



ადამიანით ვაჭრობის ყველაზე ბავრცელეპული სახეებია:

- ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით;
- იძულებითი შრომა სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, საოჯახო მეურნეობებსა და სხვა სექტორებში;



ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა მასშტაბებით მეორე დანაშაულებრივი ინდუსტრიაა მსოფლიოში და მსხვილი საერთაშორისო კრიმინალური ქსელების მიერ იმართება. დღეისათვის განვითარებულ ქვეყნებში გამკაცრებული საიმეგრაციო პოლიტიკისა და საზღვრის მონიტორინგის გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გამო, არალეგალური მიგრანტების მზარდი ნაწილი ხდება მსგავსი კრიმინალური დაჯგუფებების მსხვერპლი.

იმ შემთხვევაშიც, თუ მიგრანტი ლეგალურად იმყოფება უცხო ქვეყანაში და გადაწყვეტილი აქვს იქ ხანგრძლივად დარჩენა, უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი ვიზის ან ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლასთან ერთად მისი სამართლებრივი

სტატუსი ლეგალურიდან არალეგალურზე იცვლება. არალეგალურ სტატუსს კი თან ახლავს ფიზიკურ უსაფრთხოებასა და პირად თავისუფლებასთან დაკავშირებული გაზრდილი რისკები; ამასთან ერთად, არალეგალურად მყოფნი ვერ სარგებლობენ ჯანდაცვის, განათლებისა და იმ სხვა საზოგადოებრივი/სოციალური მომსახურებებით, რომელიც ხელმისაწვდომია ლეგალურად მყოფი პირებისთვის. აღნიშნულის თავიდან აცილების ერთადერთი გზა ლეგალური სტატუსის შენარჩუნება და ლეგალური მიგრაციაა.

არალეგალური მიგრაცია ევროკავშირში

ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალურად ცხოვრება უამრავ სირთულესთანაა დაკავშირებული. შესაბამისი საბუთების არქონის გამო რთულია სამსახურის მოძებნა, საცხოვრებელი ბინის დაქირავება, განათლების მიღება და ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა. ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავების შემთხვევაში არალეგალურად მყოფ პირებს ეძლევათ გარკვეული ვადა სამშობლოში დასაბრუნებლად. გარდა ამისა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მიგრაციის საკითხებზე პასუხისმგებელი უწყებები არალეგალური ყოფნის ფაქტებზე გამოვლენილ ინფორმაციას ათავსებენ ე.წ. „შენგენის ზონის“ ერთიან საინფორმაციო სისტემაში (EURODAC, ვიზების საინფორმაციო სისტემა (VIS), შენგენის საინფორმაციო სისტემა (SIS) და სხვა), რაც მომავალში ევროკავშირის წევრ (და რიგ არაწევრ) სახელმწიფოებში არშემვების მიზეზი შეიძლება გახდეს.

როგორც წესი, არალეგალური მიგრანტების საცხოვრებელი პირობები სავალალოა. ხშირად მათთვის შეუძლებელია ნორმალური ბინის დაქირავება; ხოლო ისინი, ვინც მზად არიან უზრუნველყონ არალეგალი მიგრანტები საცხოვრებლით, ძირითადად სთავაზობენ საშიშ ადგილებს არადამაკმაყოფილებელი პირობებითა და დაუცველობის დიდი რისკით.

- ▶ თუ ვინმეა უკანონოდ შეზღუდული თავისუფლება
- ▶ თუ დამსაქმებელმა ჩამოართვათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ▶ თუ გახდით ქალაქობის მსხვერპლი

პირველ რიგში, დაუკავშირდით ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დანესებულებას, რომელიც ვალდებულია, დაიცვას თქვენი უფლებები და კანონიერი ინტერესები. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არ აქვს, თქვენ ლეგალურად იმყოფებით უცხო ქვეყანაში თუ არალეგალურად. სურვილის შემთხვევაში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დანესებულებას შეუძლია უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტების გაცემა და თქვენი სამშობლოში დაბრუნება.

ყოფილ მიგრანტთა რეალური ისტორიები

დაფიქრდი სანამ წახვალ!

ჩემი გაქცევით თავსაც გავაქეცი

ჩემი ცხოვრება აუტანელი და მძიმე იყო. ჩვიდმეტი წლის ვიყავი და ქუთაისში ვცხოვრობდი. განსაკუთრებით მწარედ მახსოვს ჩემი მეცამეტე დაბადების დღე. სწორედ წინა დღეებში გარდამეცვალა დედა და დავრჩი ჩემი დიქტატორი მამის მეურვეობის ქვეშ. მამაჩემი ცხოვრების სიღუბს ჩირის და სიღარიბის გამო ძალიან გაბოროტდა. ის რეგულარულად გვანამებდა მე და ჩემს პატარა ძმას. უსაფუძვლოდ გვსჯიდა, ფიზიკურად და მორალურად ძალადობდა ჩვენზე. ოთხი წელი გაქცევაზე ფიქრში გავატარე, ვოცნებობდი საზღვარგარეთ ლამაზ ცხოვრებაზე.



ჩვიდმეტი წლისამ უკიდურესი რისკის ფასად მოვახერხე სტამბულში ჩასვლა. იქ შემისრულდა თვრამეტი წელი. ძალიან მეშინოდა მარტოობის, ჩემს პრობლემებს თურქული ენის უცოდინრობა ამძაფრებდა. თავიდან გამიმართლა და ორი წელი პატარა თურქულ ქალაქში გავატარე, სადაც შედარებით სტაბილური სამუშაო ვიშოვე, ვცხოვრობდი პატარა მყ-

უდრო ბინაში. ორი წლის თავზე ახალი განსაცდელი გამომიჩნდა, ფაბრიკა სადაც დამლაგებლად ვმუშაობდი, დაიხურა, ასე, რომ სამუშაო დავკარგე. ბევრი ვეცადე, მაგრამ სამუშაოს პოვნა არ მოხერხდა. ნაცნობებმა საბერძნეთში გადასვლა მირჩიეს, იქ სამუშაოს უფრო ადვილად იშო-

ვითხრეს. ასე აღვმოჩნდი საბერძნეთში. ათენში სამუშაოს საძიებლად ხეტილისას შევხვდი მამაკაცს, რომელიც შემიყვარდა. ჩემთვის ძალიან დიდი სიურპრიზი იყო, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ფეხმძიმე ვიყავი. მარტოს, არ ვიცოდი რა გამეკეთებინა, ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი ათენში. რადგანაც მინდოდა ბავშვი მამასთან ახლოს გაზრდილიყო. მინდოდა ჩემს შვილს მაინც ჰყოლოდა მამა და თავისი ოჯახი. ისევ არ გამიმართლა საყვარელმა მამაკაცმა. მიმატოვა

და დავრჩი ათენში მარტოხელა ფეხმძიმე ქალი, ჩემი ვადაგასული პასპორტით. უკან დაბრუნებას ვერ ვებედავდი, რადგანაც მამაჩემთან ასე შეხვედრის კომარები სიზმარშიც კი ძილს მიფრთხოვდა.

უკვე წლები გავიდა, პროფესიის უქონლობის გამო სამუშაო ადგილის ძიება მიჭირს. დარეგისტრირებული ვარ როგორც მარტოხელა დედა, რაც საშუალებას მაძლევს თავი გავიტანოთ მე და ჩემმა შვილმა, რომელიც ახლა სკოლაში დადის.

ჯიბის ფულის ძიებაში

ჯიბის ფულის შოვნისთვის ყოველი ზაფხულის ბოლოს თურქეთში, საზღვართან ახლოს სამუშაოდ გასვლა მინევს. რამდენიმე ბიჭი მივდივართ ერთად. საზღვრის გადაკვეთა ლეგალურია, თუმცა მუშაობა მაინც არალეგალურად გვიწევს: დღეში თორმეტი საათი, გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები. ქართველები ვმუშაობთ ციტრუსის ბაღებში, ჩაიში და სხვადასხვა მძიმე სამუშაოზე. მუშახელის უმეტესობა ახალგაზრდაა, ბევრს სკოლაც არ აქვს დამთავრებული. სამუშაო პირობები რთულია: ციტრუსის ან ეკლიან ხეზე ზეთისხილის კრეფა, მძიმე ტომრების თრევა, არასაკმარისი საკვები, შეუმონმბელი წყალი. თუმცა არის გამოსავალი?! ჩვენ ხომ ჩვენი ჯიბის ფული გვინდა?!



თორმეტი წელი მონოგაზი



ოჯახი ქეთის დიდი ხნის დაკარგულად მიიჩნეოდა. თვრამეტი წლის გოგონა ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა. კაცი, რომელიც თურქეთში მომვლელად მუშაობას ჰპირდებოდა, ქალებით მოვაჭრე აღმოჩნდა, ქეთის მსგავსად ბევრი ჰყავდა გაუბედურებული. მართალია, ყველამ დააღწია თავი იმ ჯოჯოხეთს, რომელშიც ამ კაცის წყალობით ჩაცვივდნენ, მაგრამ დიდი ძალისხმევის შედეგად.

ქეთი: „ჩემი თორმეტწლიანი გაუჩინარების შემდეგ მამას დედაჩემისთვის უთქვამს, ჩვენს შვილს სიმბოლური საფლავი მაინც გავუკეთოთო. დედა ჯიუტად უარობდა - გული მიგრძნობს, ჩემი შვილი ცოცხალია და გამოჩნდებაო. ასეც მოხდა. ოცდაათი წლის, ნაადრევად დაბრუნებული ჩემი ბინის კართან ვიდექი და ვერ ვბედავდი ზარის დარეკვას. მერე მამაჩემის ხმა გავიგონე, კარისკენ მოდიოდა. უცებ თვალთ დამიბნელდა, ჩავიკეცე. გონს იმ ოთახში მოვედი, სადაც ბავშვობა გავატარე. მშობლებმა ძლივს მიცნეს.

არალეგალურად მუშაობის საფრთხეები



შვიდი მსხვერპლი მუშაობდა ჯინსების ფაბრიკაში. ქალებიც იყვნენ მათთან ერთად, ზოგს ცოლებიც ჰყავდათ წაყვანილი და იქვე ცხოვრობდნენ. მათ გარეთ არ უშვებდნენ. ანაზღაურება არ მისცეს საერთოდ. მერე თურქეთში ყოფნის ვადა გაუვიდათ და გამოიქცნენ. კაცები ტვირთებს ზიდავდნენ, ხოლო ქალები ძაფებზე მუშაობდნენ.

მეორე შემთხვევა იყო სტამბულში. ხალხი წაიყვანეს იმერეთიდან, კერძოდ, ზესტაფონიდან. დაპირდნენ მუშის სამუშაოს კარგი საცხოვრებელი პირობებითა და მაღალი ანაზღაურებით. თუმცა, სარდაფში აცხოვრებდნენ. სამუშაო კი იყო შემდეგი - ქუჩებში უნდა შეეგროვებინათ პლასტმასის და რკინის ნივთები. ერთ კილოგრამ შეგროვილ ნივთზე ერთ თეთრს უნაზღაურებდნენ. ამ ადამიანებმა მიატოვეს ეს სამუშაო და უკან დაბრუნდნენ, მაგრამ დიდი ფიზიკური დაპირისპირებისა და დავი-დარაბის შემდეგ.

ახლა მოდაში ქართველი კაცების გაყვანა და მათი მონებად გადაქცევა



როგორ მიჰყავთ ქართველი მამაკაცები უცხოეთში და როგორ აქცევენ მონებად? საქართველოში ამ ახალი სქემით რამდენიმე ფგუფი მუშაობს. სქემის პირველი ნაწილი ძველია, ისინი უკავშირდებიან თურქეთში სამუშაოს მაძიებელ ქართველებს და სამუშაოს ჰპირდებიან. ჩაჰყავთ ეს ადამიანები და აწყობენ მათ მიერ შეთავაზებულ ადგილებში - ძირითადად სავაჭრო ობიექტებში. მოვლენები შემდგომ ასეთნაირად ვითარდება - იწყებს ადამიანი მუშაობას, მიდის ეს თურქი ერთი თვის შემდეგ და ეუბნება ამ დაქირავებულ ქართველს, მაგალითად, 1000 ლირის დანაკლისი აღმოგაჩნდა, ან გაყიდე და ფული დამიმალე, ან მოიპარეო. არა



და, რომ დაინყო მუშაობა, არანაირი ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, ოქმი არ არსებობს ჩაბარებული საქონლის რაოდენობის შესახებ, რაზეც ქართველს ხელი აქვს მოწერილი. ვერც იმას უმტკიცებს, რომ ფული არც დაუმალავს და არც მოუპარავს. თურქი ავალდებულებს, რომ დანაკლისი მუშობით აუნაზღაუროს, თუ არა და აშინებს, რომ პატრულს გამოიძახებს.

იძულების წესით ართმევს პასპორტს, ასე ვერსად გამექცევიო. ასეთ ხალხს ამუშავებენ უფასოდ, მონებივით.

თურქეთში სერიოზული ნადირობაა ქართველ კაცებზე, როგორც იაფ მუშახელზე. საქმე იმაშია, რომ თურქეთის კანონმდებლობით იკრძალება საქართველოს მოქალაქის სამუშაოდ აყვანა, ანუ შემოსული მოქალაქე ვერ ხდება იქ ოფიციალურად დაქირავებული მუშა. არაოფიციალურად კი, თურქს თუ უხდიან ას დოლარს, ჩვენს მოქალაქეს - ხუთ დოლარს. პოლიციელი თვალს ხუჭავს კი არა, თვალს იბრმავებს ამაზე, რადგან მაგათაც ძალიან ბევრი მისდით ქართველის მონურად დასაქმებიდან.



თუ თქვენ იყოფებით ქვეყანაში, რომელშიც არ არის საქართველოს დიკლომატიური წარმომადგენლობა

მიმართეთ ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს, ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს, მიგრანტთა ასოციაციებს, სათვისტომოს წარმომადგენლობას და/ან პროფკავშირებს. ასევე, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამუშაო საათებში: +995 322 945 050.

ყოფილ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა:

ყოფილ და პოტენციურ მიგრანტთა დასაქმებისა და ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობი პროექტის ფარგლებში იმუშავენ ცალკეულ პიროვნებაზე მორგებული სოციალური რეაბილიტაციისა და იურიდიული დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს დაბრუნებულ მიგრანტთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობასა და ასევე საჭირო იურიდიულ დახმარებას.

პროგრამაში ჩართვის მსურველ პირებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ შემდეგ მისამართზე:
ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №4, II სართული
ტელ: 599 156 384; 599 177 519; 555 541 564
ელ. ფოსტა: gyrc.info@gmail.com

გადაუდებელი აუცი-
ლებლობის შემთხვევაში 24 საათის განმავლობაში
დარეკეთ: +995 577 984 020. სამინისტროსთან დაკავშირება ელ. ფოსტითაც არის შესაძლებელი: consulinfo@mfa.gov.ge.

ტრეფიკინგის შემთხვევებთან დაკავშირებით შეგიძლიათ, ასევე დაუკავშირდეთ

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის და დახმარების სახელმწიფო ფონდი (+995 32) 2 100 229
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (+995 32) 2 411 714
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (+995 32) 2 94 50 50
მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (+995 32) 2 913 461
ანონიმურობა დაცულია!